№ 159

კვირა, 22 ივლისი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1901

ივერია

№ 159

კვირა, 22 ივლისი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების" გამგეობა აცხადებს, რომ იგი ჰნიშნავს

ორს პრემიას

200 მან. და 100 მან.

ქართულ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად.

პრემიის პირობები შემდეგია:

1, საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუსტამბავი და სცენაზედ დაუდგმელი.

2, პიესა უნდა შეიცავდეს სამ მოქმედებაზე არა ნაკლებს.

3, პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების" გამგეობის სახელზე რაიმე დევიზის ზედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილი იყოს დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშ. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პიესა ცნობილ იქმნება ჯილდოს ღირსად.

4, პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა თავდება პირველს ოქტომბერს 1902 წლისას.

5, „დრამატ. საზოგად." გამგეობას ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოვებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.

6, დაჯილდოვებულის პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგენის მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.

7, შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქნება გამოცხადებული.

(3—3)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელიწადი მეოცე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მიამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენის.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ცოდნა, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ჰ. მანუელიანცს, ტფილის. (24—133—11)

საამფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სალოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება

სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—71)

ტელეფონი № 174.

ადრესი ტელეგრ.: Тифлисъ „Фармацевтика"

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სალოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

გ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

გ. ი. გმელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ზ. კარამეტაიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხნოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არგანიტაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კროვატები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ბ. ბ. მაღალაშვილი.—შინაგან სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მუდიანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. მატინოვი—თვალის 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

ბ. დ. მარკევიჩი—საქირურგო—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეკთაბეკოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბედოგოდოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

ბ. ბ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები და კროვატები—მორიგებით.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. კორლანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. (6.)

ახალი ამბავი

*** დღეს, 22 ივლისს, მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის იმპერატრიცის მარიამ თეოდორეს ასულის სახელ-წოდების დღეს, სიონის საკრებულო ტაძარში მისის მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის ფლაბიანეს მიერ წირვა და პარაკლისი იქმნება გარდახდილი. წირვა დილის 9 საათზედ დაიწყება.

*** გუშინწინ, 20 ივლისს, ტფილისის პოლიცმეისტერი ბ-ნი კოვალიოვი რამდენისამე ხნით დასასვენებლად დათხოვნილ იქმნა. მისის თანამდებობის დროებით აღსრულება პოლიცმეისტრის თანაშემწეს თავ. სიდამონ-ერისთავს გადაეცა.

*** ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწეს ბ-ნს ნ. ნ. მურავიევს მაზრის ყველა ბოქაულებისათვის მიწერილობა გაუგზავნია, რომ სოფლის სასანიტარო სამზრუნველოებს მეტი ყურადღება მიაქციონ და თვალ-ყური დაიჭირონ, რომ უწმინდურობასა და უსუფთაობას არსად მათს საბოქაულოში ადგილი არა ჰქონდეს. ყოველს ორს კვირაში ერთხელ ამ საგნის შესახებ მაზრის სამმართველოს მოხსენება უნდა წარმოუდგინონ ხოლმე.

*** ეს რამდენიმე წელიწადია, ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ სახალხო მატარებლებში სამგზავროდ ქალებისათვის ცალკე ვაგონებია დაწესებული და არავის მამაკაცთაგანს აღნიშნულს ვაგონში ყოფნის ნება არ აქვს. რადგანაც შეუნიშნავთ ამ ბოლოს დროს, რომ ეს წესი ხშირად ირღვევა, როგორც გარეშე, აგრეთვე თვით რკინის გზის მოხელეთაგან, ამისათვის რკინის გზის მოძრაობის უფროსს მიწერილობა გაუგზავნია თავისს ხელქვეით მოხელეებისათვის, რომ აღნიშნულ წესის შესრულებას სასტიკად თვალ-ყური ადევნონ.

*** შორაპნის მაზრის სოფ. არგვეთიდგან შემდეგ უბედურებას გვწერენ: ამ სოფლის მცხოვრები ილია ბაკურაძე სამუშაოდ ყოფილა ყანაში წასული და სადილს თურმე მოელოდა შინიდგან. შუადღე რომ გადასულა და შეუტყვია, სადილს ვეღარ მივიღებო, ამდგარა და თვითონ წასულა სახლში, მას სახლის ეზოში ცოლი ხეზედ ჩამომხრჩვალი დაჰხვედრია. მიზეზი თავის მოკვლისა ჯერ არ იციან.

*** მოვაგონებთ მკითხველებს რომ დღეს 22 ივლისს, დურგალთა ამხანაგობის „შრომის" წევრთა საზოგადო კრებაა დანიშნული სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად. კრება დილის 10 საათზედ დაიწყება.

*** რადგანაც ქალაქის მამულებზედ დარჩენილმა დაფასების გარდასახადმა საკმაოდ უკვე იმატა და და ძნელია შემდეგ გარდიხადონ-და სახლის პატრონებმა, ამისათვის ქალაქის საბჭოს დაუვალებია სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებისათვის, რომ ეცადნენ და აღნიშნულ გარდასახადების ასაღებად რაიმე კანონიერი ღონის-ძიება იხმარონ.

*** შემდეგი საჯარო ვაჭრობა ვერეშჩაგინისეულ 14 ნაჭერი მიწისა დ. სოჭის მახლობლად (შავი ზღვის პირად) 29 სექტემბრისათვის არის დანიშნული.

*** ქუთაისის გუბერნიიდგან ამ წელს ჯარში გასაყვანად 2,891 კაცია გაწვეული, ხოლო შავის ზღვის პირის გუბერნიიდგან 112 კაცი.

*** აგვისტოს პირველ რიცხვებიდგან მთელს ამიერ-კავკასიაში ყველგან ცხენების აღწერას შეუდგებიან. ხელმძღვანელობა ამ მუშაობის დროს გენერალ-ლეიტენანტს აფანასიევსა აქვს მინდობილი.

*** წარსულის 1900 წლის განმავლობაში აფშერონის ნახევარკუნძულის 5 სხვა-და-სხვა ადგილას ამოუღიათ სულ 601.815,804 ფუთი ნავთი, 75.320,000 ფუთით მეტი, ვიდრე წინა წელს.

*** ოქონისა და ატოცის სოფლის საზოგადოებათ (გორის მაზრაშია) გარდაუწყვეტიათ ს. ავლევში ავადმყოფთა მისაღები სახლი გახსნან.

*** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა საფრანგეთის ახალი კონსული ბ-ნი დესპერო დე სანსოვერი.

ეროვნული

⁂ ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებელში დამდეგს სამოსწავლო წელს სწავლა 1-ლ ოქტომბრიდგან დაიწყება, ხოლო მისაღები და განმეორებითი გამოცდა—27 სექტემბერს, რადგანაც სასწავლებლის შენობის შეკეთებას შეუდგნენ და იმ დრომდის მზად არ იქმნებაო, სწერს „Нов. Обозр." ამ წელს თავისუფალი ადგილები მხოლოდ მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებასა და 1, 3, 4, 6 და 7 კლასშიაო.

⁂ ქალაქის ძაღლებზედ დადებულ გარდასახადის აღებას აგვისტოდგან თურმე შეუდგებიან.

⁂ გაზ. „Новости"-ს სიტყვით, რუსეთის სავარსკვლავთ-მრიცხველო საზოგადოებას განზრახვა თურმე აქვს აბასთუმნის სამთო ობსერვატორიაში დღეს არსებული ყველა ხელსაწყობები და აპარატები ახალის განკარგებულის აპარატებითა და ხელსაწყობებით შესცვალოს, რადგანაც აბასთუმნის ობსერვატორია მთელს დედამიწის ზურგზედ ერთი უკეთესთაგანია.

⁂ 23 და 24 ამა ივლისს, საღამოს $6^{1}/_{2}$ საათზედ, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში მომავალ გამოფენის გამგე კომიტეტს სხდომები ექნება.

⁂ როგორც „Од. Нов." იწერება, განზრახვა თურმე აქვთ ოდესისა და ტფილისის სახაზინო თეატრები მთავრობის საიმპერატორო თეატრებათ გადააკეთონ და საჭირო თანხა ამისათვის ფინანსთა სამინისტროს გამოსთხოვონ. მაშინ აღნიშნულს თეატრებში რიგ-რიგით საიმპერატორო თეატრების არტისტები და გასტროლერები მიიღებენ მონაწილეობასაო.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზებისათვის ადგილების შეძენის საქმის ადგილობრივ გასაცნობად მალე გზათა სამინისტროს კანცელარიის დირექტორის მოადგილე დეისტ. სტ. სოვეტნ. ბ-ნი ტერსკი იქმნება გამოგზავნილი.

⁂ გუშინ, 21 ივლისს, აგურხანის ქუჩაზედ, № 60 სახლის მახლობლად, ახლად დაბადებული ბავშვი იპოვნეს მდედრობითის სქესისა შემდეგის წერილით: „დაბადებულია 2 ივლისს, 1901 წ. მონათლულია, სახელი „ნადეჟდა", მართლ-მადიდებელ სარწმუნოებისაა". ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

⁂ ტფილისის ჯიბგირები ბრმებსაც არა სტოვებენ გაუქურდავად. მაგ. გუშინწინ საღამოს 7 საათზედ ნიკოლოზის ქუჩაზედ „ივერიის" რედაქციის პირდაპირ, ერთ ვიღაცა ბრმას მანეთი ამოაცალეს ჯიბიდგან.

⁂ „Терск. Вѣд."-ის სიტყვით, სარაჯიშვილის არყის საწყობის (კავკავში) მოურავს დ. ა. როგოვსკის განუცხადებია პოლიციაში, რომ საწყობის კასსირს, ყაზიბეგის მცხოვრებს ივანე ჩობიკოვს მოურავის მინდობილობით აზოვის ბანკიდგან 10,500 მან. გამოუტანია და ამათგან 2,000 მან. თვითონ მიუსაკუთრებია და განუცხადებია, ვითომ ეს ფული დაეკარგოს.

⁂ 20 ივლისს ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგის ა. ლ. ბუტენკოს სახლიდგან, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვიღაცას ორი პალტო, პიჯაკი და პორტფელი მოუპარია, რომელშიაც სხვა-და-სხვა საქმეები ჰქონია შენახული.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერს 19 ივლისს მე-10 ნაწილის ბოქაულის პირით უცნობებია ყველა სამკურნალო წყლების მექარხნეებისათვის: აბგარიანცისა, მადერისა, ოტტო მადერისა, დიტრიხისა, პალიუ, ვეტცელისა, ლუიზა მადერისა და ლორთქიფანიძისათვის, რომ მკურნალების მიერ მათს ქარხნებში აღმოჩენილი ყველა ნაკლი დაუყოვნებლივ (5 დღის განმავლობაში) უთუოდ შეავსონ.

—

შეცდომის გასწორება: „ივერიის" № 157-ში, ახალს ამბებში, სამწუხაროდ, შემდეგი კორექტურული შეცდომა შეგვპარვია: „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. ლევან დ. მელიქიშვილს"... უნდა იყოს: „თავ. დავით ზ. მელიქიშვილს".

მე-158 №-ის ფელეტონში, მე-2, მე-3 სვეტზედ, ქვევიდგან 14 ბწკარში დაბეჭდილია, 9,980.900 მილი; უნდა იყოს 9.980,900.

კავკასიის მომავალი გამოფენა.

სომხურ გაზ. „მშაკის" რედაქტორი ბ-ნი ალექსანდრე ქალანთარი სთხოვს გამოფენის გამგე კომიტეტს, რომ სომხურ სიტყვიერებისა და პრესის დასაწყობათ შუაგული ადგილი დაუთმონ.

—

კავკასიის მომავალს გამოფენაში მონაწილეობის მიღებაზედ სურვილი განაცხადეს: რაჭის მცხოვრებმა ჯოხაძემ, ერევნელმა მებაღემ ანანოვმა და თერგის ოლქის მცხოვრებლებმა ხასოვმა, ისა ხაჯიევმა, ტახტაროვმა და მამასახლისმა ხამუტოვმა, რომელთაც სოფლის სხვა-და-სხვა ნაწარმოების გამოგზავნა აქვთ განზრახული.

—

როგორც „Нов. Обозр." სწერს, ბეჭდვისა და ბეჭდვითი საქმის განყოფილება კავკასიის მომავალს გამოფენაზედ ასრე თურმე იქმნება მოწყობილი: შუაგული ადგილი ბეჭდვას (ჟურნალ-გაზეთებსა და სხ. გამოცემათ) დაეთმობა, ხოლო გვერდის ადგილები და კედლები—სტამბებს, ლიტოგრაფიებს, წიგნის მაღაზიებსა და ფოტოგრაფიებს. განყოფილების შესავალში გაიმართება ბიურო, რომელშიც სხვა ქალაქებიდგან მოსული კორრესპონდენტები და ადგილობრივის გაზეთების რეპორტერები იმუშავებენ, აქვე გაიყიდება ბეჭდვის საქმის შესახებ გამოსული წიგნაკები, მსურველს საჭირო ცნობები მიეცემა და სხ., აქვე იდგმება ტელეფონიც. განყოფილების შუაგულს სამკითხველო იქმნება, სადაც მსურველს ყოველთვის შეეძლება წაიკითხოს როგორც აქაური, ისე სატახტო ქალაქების გაზეთები და ჟურნალები. სამკითხველოს შემდეგ, შუაგულ ადგილასვე აქაურ გამოცემათა განყოფილება იქმნება მოთავსებული; თვითოეულის რედაქციის მერ ცალკე წარმოდგენილი ექსპონატების გარდა, ამ განყოფილებაში იქმნებიან მოთავსებულნი აგრეთვე ყველა თანამედროვე და წარსული დროის კავკასიის დრო-გამოშვებითნი გამოცემანი.

—

იმავე გაზეთის სიტყვით, განჯის გიმნაზიაში ფრანგულის ენის მასწავლებლად ნამყოფი ბ-ნი ლორანი კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაზედ თავისს მიერ გამოგონილს ახალს ფოტოგრაფიულს საშუალებას თურმე უჩვენებს საზოგადოებას, მაგალითად, რა ნაირად შეიძლება ნავთის ღრმა ჩაბნელებულ ორმოების გადაღება და სხ.

—

კავკასიის მომავალ გამოფენის ექსპონენტებს ჯერ-ჯერობით მხოლოდ 5,109 მანეთი წარმოუდგენიათ.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

რაჭა. ეს ერთი თვეა (15 ივნისიდგან 15 ივლისამდე) წვიმამ და სეტყვამ სული შეგვიწუხა და საზოგადოდ რაჭას დიდი ზარალი მისცა. ფოსტის გზაც ძლიერ დაშავებულია და ეს გარემოება მეტად უჭირებს საქმეს უწერაში საექიმოთ მოსულს ხალხს. მეტადრე გზა ძლიერ გაფუჭებულია ონსა და უწერას შუა. საზაფხულოდ მოსულთ რიცხვი 200 სულს არ აღემატება, თუმცა წელს დიდძალი ხალხი აპირებდა საექიმოდ და საზაფხულოდ მოსვლას. 15 ივლისიდგან კარგი ამინდები დაიწყო და თუ ასე გასტანა, შეიძლება კიდევ მოემატოს ხალხი, თუმცა უგზოობით ძლიერ დაშინებულია. ადიდებულმა წყლებმა ბევრი ბავშვი იმსხვერპლა.

ე.

—

ივრის ხეობა. წინად ვიწერებოდი: ივრის ხეობაში მოსავლის ნაკლებს მოველოდებით-მეთქი, მაგრამ ეხლა, როდესაც ყანის პირი გათავებულია, დავრწმუნდით, რომ არამც თუ ნაკლები, სრულიად არ არის მოსავალი. თესლიცკი არ მოვიდა, რომ შემდეგის წლისათვის დავთესოთ. ბევრჯელ ყოფილა ნაკლები მოსავალი, მაგრამ ესეთი მოუსავლობა ამ 30 წლის განმავლობაში არავის ახსოვს. ვენახების იმედი გადაგვიცრუვდა; $^2/_3$ ვენახებისა ნაცრისაგან სრულიად გაფუჭდა. ასეთივე ცუდი ხმები ისმის ქიზიყიდამაც. ხალხი სასოწარკვეთილებას მიეცა, არ იცის გაჭირვებას თავი როგორ დააღწიოს. წრევანდელი წყლიწაღი გლეხის კეთილდღეობაზე შვიდ-რვა წლამდის გავლენას იქონიებს. 1891 წელს, როდესაც რუსეთში მოუსავლობა იყო, ფუთი პური ადგილობრივ 1 მან. ზევით არ ასულა და ჩვენში-კი ჯერ შოვნაც არ არის და ვისაც აქვს, ფუთს 1 მან. 40 კაპ. ჰყიდიან (კოდს ოთხ მანეთად) ეხლავე.

მღ. ალ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„Народ. Здравіе" სიხარულით ეგებება მთავრობის იმ განზრახვას, რომ ქალებს საისტორიო-საფილოლოგო ფაკულტეტზედ შესვლის ნება მიეცეთ, და ამბობს, რომ ქალების უნივერსიტეტში შესვლა არამც თუ საშიშს არაფერს წარმოადგენს საზოგადოებრივ ზნეობისათვის, არამედ ამას პირ-იქით საკეთილო შედეგიც მოჰყვებაო. ერთად სწავლას უნივერსიტეტში ის შედეგი მოჰყვება, რომ ქალი მეტ პატივის ცემას მოიპოვებს კაცის თვალში და საზოგადოდ გაკეთილშობილდება მამაკაცთა და დედაკაცთა ერთ-ურთი დამოკიდებულებაო. უნივერსიტეტი დააახლოვებს ორის სქესის წარმომადგენელთ, შეძლებას მისცემს მათ ერთმანეთი კარგად გაიცნონ და გააკეთილშობილებს სიყვარულს. დღევანდელი ქალთა სკოლა კიარ აახლოვებს, უფრო აშორებს დედაკაცს მამაკაცისაგან. აღზრდის სისტემა ხელს უწყობს ამ დაშორებას. აკი იმიტომაა, რომ დღეს კაცი იშვიათად შეჰხვდება ბედნიერ ცოლ-ქმარს. ავტორის აზრით, საზოგადოებრივ განვითარებისა და ზნეობის განახლების ხანა მაშინ დადგება, როდესაც ვაჟთა მაღალ და საშუალო სკოლების კარები ქალთათვისაც გაიხსნება.

⁂

„Желѣзнодор. Недѣля"-ში საინტერესო კორრესპონდენცია დაბეჭდილი კავკასიელ კორრესპონდენტისა ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ 18 ივნისს მომხდარ უბედურების შესახებ. ავტორი უარსა ჰყოფს უბედურების იმ მიზეზებს, რომლე-

ფელეტონი

ჩვენი ჯანმრთელობის საქმე.

რამდენისამე თვის წინად დასტამბულ იქმნა წიგნაკი მკურნალის ვახტანგ ღამბაშიძისა: „სანატორიუმის დაარსების გეგმა". რადგანაც მკ. ღამბაშიძისაგან აღძრული კითხვა დიდად საინტერესოა, ურიგო არ იქნება ორიოდე სიტყვა ჩვენცა ვსთქვათ ამ წიგნაკის გამო. საუბედუროდ, ქართველმა, საკმაოდ განათლებულმაც-კი, არ იცის თვისი სამშობლოს ფასი, არ იცის, თუ რამდენად საჭიროა ადამიანისათვის კარგი ჰაერი, კარგი სამოსახლო ადგილი. ამის გამო ბევრი ჩვენთაგანი საუკეთესო ადგილებს სამუდამოდ გამოესალმნენ და უცხოელებს დაუთმეს. ქართველობის მომეტებული ნაწილი უფრო დაბალსა და ჭაობიანს ადგილს ეტანება, რადგანაც ამ გვარი ადგილები მიმოსვლისათვის უფრო ადვილია და თან ნაყოფიერიც. ეს ძლიერ შესამჩნევია კახეთში და ამ გვარის ცხოვრების შედეგი ზოგიერთ სოფლის თანდათანობით გაქრობაა, რაც ჩვენ შევნიშნეთ კახეთში მგზავრობის დროს და კიდეც შევეხეთ ამ არა სასიამოვნო მოვლენას წარსულის წლების „ივერიის" ნომრებში. თითქოს ქართველი, გარემოების გამო ძველს დროში მთებში შეხიზვნისაგან თავმობეზრებული, დღეს დაბალ და ჭაობიანს ალაგებს უფრო ეხარბება და ეტრფის.

ამავე მოვლენას შენიშნავთ სოხუმის ოლქში, სადაც მეგრელები მოთავსებულან ჭაობიანს ალაგებში, სადაც ციება და სხვა სენი შესამჩნევად აბრკოლებს მათს გამრავლებასა და ამავე დროს ბერძნები და სომხები-კი მაღლობს ალაგებზე დასახლებულან და ბევრად უფრო ჯანმრთელნი არიან. იყო დრო, როდესაც მეგრელებსაც შეეძლოთ არჩევანში შესვლა, მაგრამ საჯანმრთელო ალაგის არჩევის ალღო არ ჰქონდათ, დღეს-კი ამ გვარი ალღოთიც ვერას გახდებიან. ამასთანავე მეგრელები მეურნეობის ისეთს დარგს მისდევენ,—სიმინდის მოყვანას, მაგ., რომელიც ძლიერ უწყობს ხელს ავადმყოფობას მეტის სინესტის გაჩენით. მეზობლად-კი სომხები და ბერძნები მაღლობზედ დასახლებულან და თამბაქოს მოყვანას მისდევენ, რაც უფრო სარგებლის მომტანიცაა და ციებ-ცხელების თავიდგან ამცილებელიც. ეს გარემოება-კი ცოტა არ იყოს სწორე მაჩვენებელია ხალხისაგან ესტეტიკისა და ჰიგიენის, საზოგადოდ კულტურის შეუგნებლობისა. თანამედროვე ცხოვრება-კი ისე რთული და მწვავეა კანონიერ და უკანონო ბრძოლის გამო წინანდელ დროსთან შედარებით, რომ ბევრად მეტია ავადმყოფის ხელშემწყობი პირობები.

თუ ჩვენს ცხოვრებას კარგად ჩავუკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ძველსა და ახალს ცხოვრების შორის დიდი შეუფერებლობაა. გამოიცვალა ბუნების პირობები: უზომოდ ტყეების გაჩეხვამ და განადგურებამ წვიმისა და თოვლის მოსვლაში უთანასწორობა გამოიწვია, რასაც ჰაერზედა და მიწის ნაყოფიერებაზედ დიდი გავლენა აქვს. სადაც წინად ზენა-ქარი სრულიად არა სცოდნია, მაგ., გურიასა, ბათუმსა და ფოთში, თუმც აქ ზომიერი ზენა-ქარი მარგებელია, იქ დღეს ძლიერ შესამჩნევია; ვაკეში იგი მეტად გაძლიერდა და განშორდა, სახლებს სახურავებსა ჰხდის, ხეებს ამსხვრევს, რის გამოც ხეხილის მოყვანა, ეს საუკეთესო იმედი ფილოქსერისაგან ვენახების განადგურების შემდეგ, ძლიერ გაჭირდა იმერეთსა და სამეგრელოში. მიუხედავად ამისა, სახლს ისევ ძველებურად აშენებენ ჩვენში და, თითქოს დროებითი ბანაკიაო, ქარი დაუბრკოლებლივ დაზუზუნებს დასისინებულს ხის კედლებში, თითქოს ლოგინად ჩავარდნილს ავადმყოფს ზარს უმღერისო; ტანისამოსიც ისევ ძველებური აცვია და სხ. ამასთანავე გამოცვლილმა ეკონომიურმა და სოციალურმა პირობებმა ხალხი შეჩვეულს კერას, მინდორსა და ველს, საზოგადოდ ჩვეულებრივს ცხოვრებას მოჰგლიჯა და ჰაერით შეხუთულ ქალაქებისაკენ გაამგზავრა, სადაც იგი ფაბრიკა-ქარხნებსა და სამხედრო ყაზარმებში მოემწყვდა, ლუკმა-პურისათვის ნერვების ამაფორიაქებელ რკინის გზის სამსახურს გაება და ამ გარემოებამაც ხალხის ჯანმრთელობის საქმე ძირითადად შეარყია. თვითონ კავკასიის ჰაერიც ნელ-ნელა მოიწამლა, რადგანაც ყოველი დავრდომილი და ჰლექიანი მას ეტანება. ზემოხსენებული პირობების შედეგია, რომ ამ უკანასკნელის 30 წლის განმავლობაში ჰლექით ავათმყოფობამ, ნერვების ავადმყოფობამ და სიფილისმა,—ამ ჰლექზედ არა ნაკლებ კაცობრიობის გამანადგურებელმა ჭირმა, ასე შესამჩნევად იმატა. ავიღოთ, მაგალითად, თუნდა რაჭა, ეს ყოველ მხრივ დაკეტილი ქვეყანა, საიდგანაც მხოლოდ მამაკაცები გამოდიან გარეთ და ეფინებიან სხვა-და-სხვა ქვეყანასა და ქალაქს ფულის საშოვნელად, რადგანაც რაჭაში მიწა მეტად ძვირია. დააკვირდით კარგად და დარწმუნდებით, რომ ამ ჯანმრთელობისათვის ბუნებით სალს ქვეყანაში ჰლექმა ფეხი ძლიერ მოიკიდა, რომელიც მკვიდრთ შორეულ ქალაქებიდგანა და ქვეყნებიდგან შემოაქვთ. მოტანილი ჰლექი-კი შესამჩნევად გადადის ოჯახის ერთი წევრისაგან მეორეზედ, ერთი ოჯახიდგან მეორეში. ამ გვარი უბედური მოვლენა, რომელიც მარტო ჩვენში არ არის შემჩნეული, საკმაოდ უნდა არწმუნებდეს ულოღიკო quasi მეცნიერთ, რომ ჰლექი ძლიერი გადამდები სენია, თუ

ზსაც ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა ასახელებს და ამბობს, გამგეობის აზრით,

„უბედურების მიზეზი, რასაკვირველია, „მეისრეა", რომელმაც დროზედ არ გაასწორა ისარი, და სადგურის უფროსის მორიგე თანაშემწე, რომელმაც ყურადღება არ მიაქცია იმას, წესიერად შეასრულა საქმე მეისრემ თუ არა".

ნამდვილი მიზეზი-კი უბედურებისა, კორესპონდენტის თქმით,

„რკინის გზის უფროსნი და ამ გზის საქმეთა სხვა გამგენი არიან, რომელნიც წლითი-წლობით ამცირებენ ხარჯს და სახარჯო ეკონომიას ეწევიან. გზის მთავრობა ერთსა და იმავე კაცს აკისრებს რამდენსამე მძიმე და ძნელად შესასრულებელ საქმეს, მაგალითად, მორიგეობას სადგურსა და ტელეგრაფზედ და სადგურის საკომერციო ოპერაციების გამგეობას. მეისრე სადგურზედ მხოლოდ ორია, რომელთაც მორიგეობა ჯერ-ჯერით უხდებათ. ამიტომ მორიგე მეისრემ ჯერ მატარებელი უნდა შეუშვას სადგურში, შემდეგ, რაც ძალი და ღონე აქვს, სადგურის მეორე მხარეს გაიქცეს და გაუშვას მატარებელი. ადვილი წარმოსადგენია, რა წვალებაშია ამ დროს მეისრე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ორი მატარებელია. ამას გარდა მეისრეს ბარგისა და საქონლის დატვირთვა-გადმოტვირთვაცა აქვს დაკისრებული. მორიგე თანაშემწეს, რომელიც ამავე დროს ტელეგრაფსაც განაგებს (მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ მორიგეს უეჭველად აჯარიმებენ, დეპეშას გაგზავნა ან მიღება (წუთით მაინც თუ დააგვიანა), არ შეუძლიან ყურადღება მიაქციოს მეისრეს და გაიგოს, რამდენად წესიერად ასრულებს იგი საქმეს".

ასეთ პირობებში განა გასაკვირველია, რომ გზაზედ რამე უბედურება მოხდეს? გასაკვირველი ის არის, რომ რკინის გზა, რომელსაც ყოველ წლივ მილიონები აქვს მოგება, ასეთს ყველასათვის საზარალო ეკონომიას ეწევა.

საქართველოს ისტორიის მოყვარულთა საყურადღებოდ *).

რომელმან ანარნარა და ამოთხზნა მოთხზასა შინა აღნამკთა აბათასა, უმრუმომან უოცნომან ერთმან მან ღმერთმან ზესთა არსებათამან მზემან. და წარმოაარსნა ყოველნი აღნამკნი მტილთა შორის სამოთხეთასა ყოველთა არსებათასა: რომელმან დაჰქჳსნა ცანი ცათანი, და მასშინანი კანამზეკა, და აღამკნა თვის შორისათა უკვდავთა ზესთა სიბრძნისათა, და მოჳფთი აღნაკთა ქვეყანისათა, და მის შორისნი აღმონაბუკნი განუკაზმა კეთა სამექმეოდ სამოთხემან მან ზესთა არსებათამან ღმერთმან, და რომელსა მას მხოლოსა ერთსა მას მზესა უკვდავსა მას ტბასა ჰსწყურის ყოველთა კეცოვანთა ხატოვნებათ ცხოვრება, და კეთილად სიტყვა გონებათ ცხოველ-ყოფაჲ. რომელი აღიდებს ყოველთა მმექმსა, დამტკირთველსა ყოველთა აბათასა ხელსა, ყოვლად უთვისოჲსა ე-დ ძლიერსა მკლავსა და კანამდებს მეარსეთა საზრდოითა მით ცხოველ ყოფისათა რომელნი ჰხადოდეს მას: ღმერთმან-ღმერთთამან და უფალმან უფლებათამან, დამქსვჰჳლმან ცათა და ეთერისა, დამტკირთველმან ქვეყანისათა გოდეთა მორფთამან, რომელი სამობად დრკობით, სამთვითებით, და სამხატოვნებით თავვსის იცემბის მორფთა შორის აღნამკთასა ყოველთა არსებათაგან მხოლოჲ იგი ყოფლებათა ყოფლი. ზესთა არსებისა მარტოვი იგი უფქო ზესთა არსებაჲ პირველი და წყარო კეთილობაჲ, ესე იგი არს მამა, და ძე, და სული წმიდა ყოვსთავს ცნობისა ღმერთ-მთავარი ბუნება: რომლისა მიერ უზომოჲსა მის უკვდავისა ტბისა წყალობითა, დაუწყვედელად აღმომდინარისა მის წყაროჲსა სახიერებითა ვჰკვეთ, და ვჰსუფევთ თვით შეღობითა მით ცხოველყოფითითა სულსა მის სახიერებისათა: რომლისა მიერ უზომოსა მის ზენაჲსა წყალობითა ღვთისათა ღირს ვიქმენ აღსლვად, და აღწევნად სულითსა მას სადლოსა ხარისხსა ყოვლად სამღვდელოებისასა, და საქართველოჲსა მის ყოვლად ბრწყინვალისა ნათლისა, და უმრუმოჲსა მის მზისა მოციქულისა დედისა მის ჩვენისა ქალწულისა ნინოს ეკლესიისა მღვდელთ-მთავრობა მეწყმესა უკეთილმსახურესისა, და უმაღლესისა ყოვლისა ზემოჲსა საქართველოჲსა მეფისა ირაკლი მეორისაგან და ძმისა მისისა ყოვლისა საქართველოჲსა პატრიარხისა მეფის ძის ანტონისაგან. და ოდეს მოვიწიე ზემოხსენებულსა მას წმიდასა, და დიდებულსა ეკლესიასა წმ. ნინოსასა, მაშინ დამხვდა ღირსი ხსენებისა ლავრული გვარითა მახარებელი დეკანოზი წმიდისა ამის ეკლესიისა პროტო-პაპად: დღეთა შინა მისთა მოწყენილ იყო ცოდვათა ჩვენთა მიერი ბნელი წარმართთა მიერი ზედა მოსვლაჲ, და ესე ზემოხსენებული ღირსი დეკანოზიცა მიემთხვია მათ მიერ ქრისტეს თვისისათვის დაკვლასა. და ესრეთ გარდაიცვალა რომელ არა რაჲ დაუშთა სადეკანოზოსა მის მამულისა მემკვიდრედ: ამის ძალით ზრუნვაჲ მაქვნდა, და ძიება ვჰყავ რათამცა ვპოვე ვინ მამულის მემკვიდრედ, და ვჰსცან რომელი რუსისა შინა იყო ვინმე უსჯულოთა წარმართთაგან წარტყვევნილისა მე, გვარათ ურდულაძე ამა ეკლესიისი ყმის შვილი პეტრე. მოვიყვანე შენით, და აღვზარდე სამღვდელოდ, და მივეც პროტო-პაპობა წმ. ნინოს ეკლესიისა, ვენახი, და ყოველი მამული დეკანოზისა, და ამანცა ესრეთ განჰსვლო სრბაჲ ამის სოფლისა რომელ არა რაჲ დაუშთა მემკვიდრედ ვაჟი. კარნა შვილნი მხოლოდ, ქალნი. ამა ჩვენსაცა დეკანოზსა ზრუნვაჲ აქვნდა, და თვით მეცა უმკვიდროდ დაშთომისათვის სადეკანოზოსა მის მამულისა. მოვიძიეთ შენ უდაბნოსა შინა აღზრდილი ვინმე, და ზრდილი კეთილად სწავლითა ჩვენის ეკლესიის ყმის პარველის კაცის შვილი, გვარათ რუსტაშვილი, და ძე ამ ჰქრონ მღვდლისა დაზარე ჩვენის კამოჩვენოთა და ჩვენის დეკანოზის დიდის მონდომებითა. მოვიწვიეთ, და ფრიად გაძლიერეთ ზედ სიძეობითა მამულისა მემკვიდრეობად. თუცა შენ ფრიად შორის გეჭირა, და მძიმესა, და დიდსა ვარსა გვმტვირთე ძმისა შენისა კაჲრისათვის, და სამკვიდროსა მის მამულისა შენისა დაშორებისათვის. გარნა ჩვენ ნებასა შენსა წინაღუდეგით, უფლებისა, და მღვდელ-მთავრობისა მადლითა, გამოვიყვანეთ სახლისაგან, და მამულისა შენისა, და მოგეცით ამა დეკანოზის პეტრეს ქალი, და აღვიყვანეთ მღვდელობისაცა სუდიერსა სამღთოჲსა პატივსა: ვინაჲდგან მორჩილებისა სახისა მოგიყვანეთ მადლითა ღვთისათა მღვდლად დაზარე. წყალობითა ღვთისათა ჩვენ გვარად ტუსიშვილმან ყოვლად სამღვდელომან ნინოწმინდელ მიტროპოლიტმან საბა გიბოძეთ ზემო თქმულთა, და მოხსენებულთა დეკანოსთა ამის ეკლესიისათა სადეკანოსო მამული ყოვლითავე სავსებითა ნასყიდ უსყიდითა, ვენახითა, ქვევრ მარნითა, სახნავ-უხნავითა, წყლითა. შესავალ-გამოსავლითა, და ყოვლისავე სამზღვრითა, და გასადევრითა და რომლისაც მქონებელი ყოფილიყოს, ანუ დეკანოსი მახარობელი, ანუ პირველ მისსა წინაპარნი დეკანოსნი ყოვლითავე სრულებით, და სავსებით გიბოძებია, და უნაკლულოდ მოგვიცია და ამათთანა დეკანოსობაჲცა ამა ჩვენისა დედა ეკლესიისა. შენთვის შვილთა შენთა და ძის ძეთა შენთათვის, და ყოველთა მომავალთა სახლისა შენისათა:*) ესე ყოველნი წყალობანი მოგიბოძენით რა. ვიდრე მამაჲ შენი, და სიმამრი დეკანოსი პეტრე ჰსცოცხლობდეს, ყოველი მორჩილებით, და მამა-ძეობის სიყვარულით ჰმორჩილობდე, ვითარცა შვილი საყვარელი მამასა თვისსა: და დეკანოსიცა პეტრე ვითარცა მამა შვილთ ძიუყვარე გიღწყოდეს სიყვარულითა მამაძებრითა. და ბრძანებისაებრ მოციქულისა არა განკამწარებოდეს. და შემდგომად გარდაცვალებისა პეტრე დეკანოსისა. დეკანოსობა, და ყოველივე ზემოხსენებული მამული მხდა მოგვიბოძებია. მაგრა უწყოდე ესე, რომელ მხოლოდ შენთვის, და შვილთა შენთა, და შვილის-შვილთა შენთათვის გვიბოძებია: და ძმათა შენთა, და სხვათ რუსტაშვილების ამაში საქმე არა აქვსთ. ღმერთმან მამამან ცათა მასამან, და მფლობელმან ყოველთა არსთამან მოგცეს, და გიბედნიერონ. ყოველსა შინა ღვთის მსახურებასა. სადიდებლად მასის ღვთისმსახურებისა, ამა წმიდისა ეკლესიისა, და ჩვენსა ერთგულებასა შინა: და რომელნიცა შემდგომნი ქრისტეს მიერნი მწყემსნი ყოვლად სამღვდელონი იხილნეთ. თქვენცა ესე ჩვენ მიერნი წყალობანი მტკიცედ და უცვალებლად დაუმტკიცეთ, და ნუ ვინ მდად ხელ ჰყოთ ამა წმიდისა ეკლესიისა წყალობასა. რათა არა წინა-აღმდგომ ღვთისა იქმნეთ, და რათა თქვენ მიერცა განგებული, და განწესებული მტკიცე იქმნას: ჩვენ რომელი მადლითა ღვთისათა ვკვირიგებით, ყოვლადვე სადიდებელად ღვთისა განკვამზევებით. ჩვენთა სასოთა მონასტერთა მეურნეთა წინამძღვართა თანა-ყოფით. სადიდებელად ღმერთ-მთავრობისა მხოლოჲსა ღვთისა მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისა, ამინ: არიან ამისნი მოწამენი და დამხდურნი: თვით დეკანოსი ჩვენი პეტრე. მღვდელი იოანე მონასტრის ყმა. ქურხული მღვდელი იოსებ. ჩვენი ეკლესიის მღვდელი იოანე. საკარეჯოს ნაცვალი იესე. ჩვენი მოხელე ბედიაშვილი იოანე. ყელანი ჩვენის ეკლესიის ყმანი. ერთობით საკარეჯოს მახლობელნი სახასონი, და სრულიად მონასტრის ყმანი: დაიწერა სიტყვათა მწერმთხზველობითა ჩათლისმცემლის უდაბნოს ყოვლად ღირსისა მამისა, და არხიმანდრიტისა ეგთიმესითა. ხოლო ხელითა უღირსის ხუცის იოანე ოსეს ძისათა. თვესა იანვრისა. გ: წელსა ღვთისა განხორციელებიდგან. ჩყპგ. ჯკს. უია:

როგორც მათ ყოვლად სამღვდელოებას ნინოწმინდელ მიტროპოლიტს საბას უბრძანებია: აგრეთვე ჩვენ ყოვლად სამღვდელო ბოდბელი მიტროპოლიტი დავით თანახმა ვართ:

ყოვლად სამღვდელოს ნინოწმინდელ მიტროპოლიტის საბას აზრისამებრ თანახმა და მოწამე ვარ წიგნისა ამის. ყოვლად სამღვდელო მიტროპოლიტი ტფილელი გერმანე.

ყოვლად სამღვდელოს ნინოწმინდელ მიტროპოლიტის საბას აზრისამებრ თანახმა და მოწამე ვარ წიგნისა ამის ყოვლად სამღვდელო რუსთველი კირილე.

---

*) ვბეჭდავთ აქ მღ. ალ. გულისაშვილის მიერ წარმოგზავნილს ნიმუშს მეთვრამეტე საუკუნის მჭერმეტყველობისას.

*) როგორცა სჩანს, დეკანოზობა ერთიდგან მეორეზე გადადიოდა მემკვიდრეობით.

მღ. ა. გ.

საღმე მოიბუდა და ფეხი მოიკიდა სახლში. მაგრამ რაჭა თავისის ტყეებითა, ლამაზი მთა-გორაკებითა და მშვენიერი ჰაერით ნამდვილი ნავთსადგური და თავშესაფარია ავადმყოფთათვისა და მოქანცულთათვის. მაგრამ ქუთაისის გუბერნიის დიდი ნაწილი ამ გვარს პირობებს სრულიად მოკლებულია და კარგი იქნება, რომ ამათთვის ხელმისაწვდენი მთიანი ალაგები მოიძებნებოდეს ზაფხულში ჰაერის გამოსაცვლელად. ურიგო არ იქმნება შედარებით უფრო დაავადმყოფებულმა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებლებმა ჯანმრთელობისათვის ძლიერ სასარგებლო ჩვეულება შემოიღონ, რომელიც ერევნისა, განჯისა და ყარსის გუბერნიების მცხოვრებთა შორის ძლიერ არის გავრცელებული და რომელნიც სიცხეების დაწყებისათანავე თავისის საქონლითურთ მთიანს ადგილებს გაუდგებიან ხოლმე და იქ ატარებენ ზაფხულს. ვაკეზედ რჩება მხოლოდ მცირე ნაწილი ყანების დასამუშავებლად. ზამთარში დაუძლურებულნი, ესინი შემოდგომაზედ სრულიად ჯანსაღნი ბრუნდებიან. მეტად გავრცელებულ ჭლექთან საბრძოლად ეს საშუალება ჩვენში საუკეთესო იქნებოდა. შეიძლება ეს ჩვეულებაცაა მიზეზი, რომ ზემოხსენებულს გუბერნიებში ჭლექი ნაკლებად არის გავრცელებული. ამ ჩვეულებას შეიძლება ეკონომიურადაც გაეუმჯობესებინა ჩვენი ცხოვრება, რადგანაც ჩვენში საძოვარი ალაგები იშვიათია და პირუტყვის მოშენება ძნელია, მაგრამ რომელიმე ახალი ჩვეულების შემოღება, მოგეხსენებათ, ძლიერ ძნელია. დღევანდელს ჩვენს პირობებში ძლიერ ბევრი გვაქვს საზრუნველი და საფიქრებელი როგორც ჯანმრთელობის, ისე ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ, რადგანაც ორივენი ერთი მეორესთან მჭიდროდ არიან შეკავშირებულნი. ამისათვის ყოველივე ზომა, რომელიც-კი ამ ორ მოვლენასთან საბრძოლველად იქმნება მიღებული, საყურადღებოა.

ევროპაში დიდი ხანია ჯანმრთელობის საქმეს საკმარისი ყურადღება მიაქციეს და მრავალი სანატორიუმი *) გაიჩინეს, რასაც დიდი სარგებლობა მოჰყვა. ჩვენის ქვეყნის საუცხოო შემკულობის გამო ეს საქმე ჩვენში უფრო საჭირო და მოსახერხებელიც არის, თუ-კი მოვინდომებთ, რასაც მკურნალი ლამბაშიძე კიდევაც შეუდგა ჩვენში. ცოტაოდნად შეძლებულთათვის მკურნალმა ლამბაშიძემ სანატორიუმის დაარსება ქუთაისის გუბერნიაში განიზრახა, რაც დიდის თანაგრძნობის ღირსია და სულითა და გულით ვურჩევთ ჩვენებურს შეძლებულებსა და ინტელიგენტების ამ საქმეში მკურნალს ლამბაშიძეს დახმარება გაუწიონ, რადგანაც სანატორიუმი მათთვის ბევრად გამოსადეგი და ხელსაყრელი დაწესებულება იქნება, ვიდრე აბასთუმანი, ბორჯომი და სხვა სააგარაკო ადგილები. როგორც ვუწყით, მკურნალს ლამბაშიძეს სანატორიუმისათვის ადგილი კიდევაც ამოურჩევია და პროექტის განსახორციელებლად რამოდენიმე თანხაც შეუგროვებია. ამ საქმეს ამხანაგობის ხასიათი ექნება. ნამდვილს წევრებს (საწევრო ფული 200 მანეთია) და დამხმარებელს წევრებს (საწევრო ფული 100 მანეთია) მიეცემათ შესაფერისი დივიდენდი მოგების მიხედვით. ეს სანატორიუმი მართლა ძვირფასი იქნება ცოტაოდნად შეძლებულთათვის და ვუსურვებთ მკურნალს ლამბაშიძეს ეს საქმე დროზედ განეხორციელებინოს. დროა, ევროპის ცხოვრებას დავაკვირდეთ და რაც აუცილებელი, საჭირო და სასარგებლოა, ვეცადნეთ შემოვიტანოთ. ნუ ვუცდით, რომ მაინცა და მაინც უცხოელმა დაიწყოს ეს საქმე ჩვენში. ამ გვარს საქმეში ისევ ჩვენმა მკურნალებმა უნდა მიიღონ მხურვალე მონაწილეობა. ამასთანავე სასურველია ჩვენმა მკურნალებმა მოძებნონ ყოველს კუთხეში ღარიბ ავადმყოფთათვის ადვილად ხელმისაწდომი საჯანმრთელო მაღალი ადგილები. მართალია, ბახმარო და სხვა ამ გვარი ალაგები მოიპოვება ჩვენში, მაგრამ უგზოობისა გამო ხშირად მიუვალნი არიან და ყოველს ზაფხულში არ გამოდგება იქ ცხოვრება, რადგანაც წვიმიანი ზაფხული ამ ალაგებში ცხოვრებას უსარგებლოდ და შეუძლებლად ჰქმნის. ჩვენმა მკურნალებმა გამოცდილებით უნდა იცოდნენ, რომ ჩვენში ბევრი იმ გვარი ავადმყოფია, რომელსაც წამალი სრულებით არ ესაჭიროება, საჭიროა მხოლოდ კარგს ჰაერში ცხოვრება და რიგიანი საჭმელი. აბასთუმანი, ბორჯომი ხელმოკლეობისა გამო მათთვის სრულიად მიუწვდომელია. აი ამ გვარ ავადმყოფთათვის დიდად საჭიროა მოვძებნოთ ახლოვე მდებარე მთებში კარგის ჰაერითა და წყლით შემკობილი ალაგები და ამ ალაგებში თავისდა თავად გაჩნდებიან ავადმყოფისათვის საჭირო პირობები: რიგიანი სახლები და საჭმელი. უამისოდ ზემოხსენებული ხელმოკლე ავადმყოფების მორჩენა შეუძლებელია. ამ გვარი ავადმყოფები-კი ძლიერ მატულობენ ჩვენში და მათზე ზრუნვა აუცილებელია. სანიტარიუმი, რომლის დაარსებაც ექ. ლამბაშიძემ განიზრახა, იქნება დანიშნული უფრო გონებრივის შრომით დაქანცულთათვის, უფრო ინტელიგენტთათვის, რომელთა რიცხვიც ჩვენში დღითი დღე მატულობს და არც იმდენი შეძლება აქვთ, რომ აბასთუმანსა და ბორჯომში იცხოვრონ.

ვ. ვაშაკიძე

---

*) „სანატორიუმ"-ი წარმოსდგება ლათინურ სიტყვისაგან sanare-მორჩენა.

ჩვენ ყოვლად სამღვდელო ნინოწმინდელ მიტროპოლიტი მაყაშვილი იოანე ამ წყალობის სიგელს გმტკიცებთ: თებერვლის კზ...

—

ჩვენ ყოვლად სამღვდელო ნინოწმინდელ მიტროპოლიტი გმტკიცებთ ამ წყალობის სიგელს. აგვისტოს თ. წელს ჩუ. ბეჭედი

—

ვითარ მათს ყოვლად სამღვდელოებას. უფალს ნინოწმინდელ მიტროპოლიტს საბას წყალობა უბოძებია ბრძანებისა მათ-საებრ მოწამე თანახმა გირ წყალობიანის სიგელისა ამის. არხიმანდრიტი ნათლისმცემლისა მონასტრისა წინამძღვარი გეთიმე:

—

არხიეპისკოპოსი თელავისა და სრულიად საქართველოს კაკასიისა ამ წყალობის სიგელს გმტკიცებ ჩვენ წელს, დეკემბრის გ, დოსითეოს.

დამაკვირდი

ძირს დაწეული მუდამ იგონებს სიმაღლეს, რომელზედაც უწინ იდგა, ზეაწეული კი სიამოვნებით ივიწყებს იმ ადგილს, სიდამაც ზე ატოლდა.

სტრინბერგი

* * *

სამი რამ არის მეტის-მეტად აუტანელი: გლახა-ამპარტავანი, ბებერი-არშიყი და მდიდარი ძუნწი.

* * *

სირბილში გაჯიბრებულ კოჭლთა შორის ერთმა რომ სხვებს გაასწროს მაინც კოჭლია.

ლესსინგი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ერთი რუსული გაზეთი შემდეგს ამბავს გადმოგვცემს, რომელიც მინსკის გუბერნიის სოფელ კროზში მომხდარა. ახალ წლის პირველ დღეს ადგილობრივი გლეხი ბ—ვი სადღაც გამქრალა. წინა დღეს გლეხი ეკკლესიაში ყოფილა და მეორე დღეს ყველა ჰკვირობდა, სად უნდა წასულიყოვო. გასულა ორი თვე და ერთ ღამეს დაკარგულ გლეხის დას შემდეგი სიზმარი უნახავს. დაკარგული ძმა ქალთან მისულა სიზმარში გაყვითლებულის სახით და უთქვამს: „და! ფრთხილად იყავი ტ თვალ-ყური ადევნე ყაჩაღებს, რომელთაც მომკლეს. ერთი ამათგანი შენთანა სცხოვრობს, ლანაჩხენ ორს ყოველ დღე ჰხედავ. მე დიდი ხანია მომკლეს, ტომარაში ჩამდეს, ქვები მომაბეს და მდინარეში ჩამაგდეს. გთხოვ ამომიღო წყლიდგან და დამმარხო როგორც წესი და რიგია“. ეს უთქვამს გლეხს და უცბად გამქრალა. მეორე დღეს დას ყოველივე სიზმარში ნანახი სოფლელთათვის უამბნია, მაგრამ არავის არ დაუჯერებია. ორი თუ სამი დღის შემდეგ მეთევზეებს წყლიდგან ამოუღიათ ტომარა, რომელშიაც დაკარგულის გლეხის გვამი იყო თურმე; კისერზედ თოკი მოუბამთ და ისე დაურჩვიათ. დას მაშინვე გამოუცხადებია, რომ ჩემი ძმა იმისმა ცოლის ძმამ და ორმა სხვა ნათესავმა მოჰკლეს, რომელთაც მტრობა ჰქონდათ იმასთანაო. მეორე დღეს მკვლელნი მართლაც გამოტეხილან.

* * *

„დედაკაცი სცენაზედ“. ამ სათაურით ამას წინად პარიჟში წიგნაკი დაუბეჭდია ჟანნა გარსიას, სარრა ბერნარის თეატრის არტისტ-ქალს. სხვათა შორის თავის წიგნში გარსია სწერს; „არტისტები ხშირად ცოლებად ქარტისტ-ქალებს ირთავენ. ბევრის აზრით ასეთი ქორწინება თავმდები უნდა იყვეს მეუღლეთა ბედნიერ დ ტკბილ ცხოვრებისა, რადგანაც მეუღლენი ერთ საქმეს ემსახურებიან, მათ ერთგვარი ინტერესები აწუხებთ, ერთის საქმის სიყვარულით არიან გატაცებულნი და სხვა. ეს გარემოება ხელს უნდა უწყობდეს მეუღლეთა დაახლოვებას და დამეგობრებასა, ამბობენ ბევრი. მაგრამ ნამდვილად ასე არ არის. პირიქით, სწორედ ეს ერთობა საქმისა და ინტერესებისაა ხოლმე უპირველესი მიზეზი მეუღლეთა განხეთქილებისა: იმათ ცხოვრებაში მეტად ბევრი მსგავსებაა, მეუღლენი ძალიან კარგად იცნობენ იმ წრეს, რომელიც გარსახვევია, მათ ერთი პირი აწუხებთ, ერთი ლხინი ახარებთ, ორივეს ერთ გვარი იმედები აქვთ, ორივენს სახელის მოპოვების სურვილით არიან გატაცებულნი, ერთის სიტყვით, ახალს ერთმანეთში ვერაფერსა ჰხედავენ და ერთმანეთზედ მალე უცრუვდებათ გული. ამას თავმოყვარეობაც უნდა დაუმატოთ: ხშირად ერთის მეუღლის გამარჯვება სცენაზედ, ხახლისა და პატივის მოხვეჭა ძილს უფრთხობს ხოლმე მეორეს“.

* * *

ლონდონში მომხდარმა ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლთა კონგრესმა უკანასკნელს სხდომაზედ, სხვათა შორის, ის აზრი გამოსთქვა, რომ ჭლექიანებს საზოგადო სახლებში ფურთხვა უნდა აეკრძალოთო. ამას გარდა კონგრესმა დაადგინა, ურჩიოს საავადმყოფოებს დაურიგონ ჭლექიანებს პატარ-პატარა წიგნაკები, რომლებშიაც დარიგებანი იქმნება იმისა, თუ ჭლექიანები როგორ უნდა მოიქცნენ ხოლმე. შემდეგ კონგრესის აზრით საჭიროა მთავრობებმა დაავალონ მოხელეებს ჭლექიანთა შესახებ ცნობებს შეკრება; მოხელეებმა ყოველთვის უნდა აცნობონ მთავრობას, სად და ვინ არის ჭლექით ავად და სხვა; საჭიროა გამართულ იქმნას სანატორიები და საავადმყოფოები ჭლექიანთათვის. დასასრულ კონგრესი ურჩევს სახელმწიფოებს დააარსონ სამუდამო განსაკუთრებული ბიურო ცნობების შესაკრებად და ჭლექის წინააღმდეგ საბრძოლველ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

* * *

პეტერბურგში ამას წინად მონტე-კარლოდგან დაბრუნებულა ვინმე ა. ა. ს—პოვი, რომელსაც რულეტკაზედ სამ დღეში 100 ათას ფრანკზედ მეტი მოუგია. პირველ დღეს ამ კაცს მოუგია 70 ათასი, მეორე დღეს 38 ათასი და მესამე დღეს 7 ათასი ფრანკი. იმდენად მტკიცე ხასიათისა გამოდგარა ეს კაცი, რომ მეოთხე თამაშობისათვის თავი მიუნებებია და შინ წასულა. ჩვეულებრივ ისინი, ვინც მონტე-კარლოში ფულს იგებენ, თავს ველარ ანებებენ რულეტკას და ბოლოს მოგებულ ფულთან ერთად საკუთარსაც აგებენ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

20 ივლისი.

პეტერბურგი. მოვიდა აქ მოროკოს საგანგებო მისსია მოროკოს გარეშე საქმეთა მინისტრის მეთაურობით.

გროდნო. სიცხეებია, რაიცა ხელს უწყობს მკას; მუშა ხელი საკმაოა; სამუშაო ფასი ზომიერია.

კრონშტადტი. დღეს აქ მოვიდა ოდესიდგან წამოსული გემი „Мечта“.

ლოძი. პურის მკა თავდება. ისეთი ცუდი მოსავალი არა ყოფილა, როგორც ჰფიქრობდნენ. უკანასკნელმა სეტყვამ და ნიაღვარმა წაახდინა მოუმკელი ყანები.

ეკატერინოსლავი. დააპატიმრეს გაკოტრებულ საკომერციო ბანკის გამგეობის სამი წევრი, ბუჰალტერი და კასსირი. გამგეობის მეოთხე წევრი, ებრაელი მაკაროვი, დაიმალა; აქამდე ვერ იპოვნეს მაკაროვი.

პარიჟი. იუწყებიან, რომ გუშინ ნანსის მახლობლად, ნევ-მეზონში უწესოებანი მოხდა 25 მუშის წინააღმდეგოთ. ეს მუშები გერმანიიდგან დაიბარეს ახალ ღუმელების გასამართავად. მუშები და მცხოვრებნი გარს შემოერტყნენ პატარა უბანს, სადაც ღუმელთა საზოგადოების გამგეობამ ეს მუშები მოათავსა მას შემდეგ, რაკი სხვა მუშათა უკმაყოფილება შეიტყო. ასის კაცისაგან შემდგარი, კეტებითა და რევოლვერებით შეიარაღებული ბრბო, ემუქრებოდა კარების გამომტვრევას. ნემეცმა მუშებმა სახლის ჩარდახს შეაფარეს თავი. მოსულმა ჟანდარმებმა, გაჰფანტეს რა ბრბო, დაამშვიდეს ნემცები, მაგრამ მათ მუშაობის განახლებაზედ უარი განაცხადეს. გამოძიებას უკვე შეუდგნენ.

ბუხარესტი. კიუსტენდჟეში მყოფმა რუსეთის ელჩმა აცნობა სამხედრო სამინისტროს, რომ 4 სექტემბერს რუსეთის ესკადრა კიუსტენდჟეში მოვაო.

დურბანი. 16 ივლისს, ღამე, ინგლისის ჯარმა აიღო ბურთა ბანაკი და ლუიერის ფერმა; შვიდი ბური მოკლულ იქმნა. ინგლისელთ ხელთ ჩაიგდეს მრავალი ცხენი და რქიანი საქონელი.

გონკონგი. ვუჩოუდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ერთი წარჩინებული ladamongo მოხელე ოთხშაბათს აქედგან ნანკინში წავიდა ხელ-შეკრულებაში აღნიშნულ ნავთსადგურის გასახსნელადაო.—ინგლისის სამხედრო გემები „გლორი“, „ეკლიპსი“ და „დარფი“ მოულოდნელად ამოიში მივიდნენ. სრული მშვიდობიანობაა იქ.

ბერლინი. ამხანაგობამ, რომელიც შესდგება მენდელსონის და ამხ. საზოგადოებისა, ბლეიხრედერისა, საშუალო გერმანიის საკრედიტო ბანკისა (ბერლინშია), სილეზის საბანკირო კანტორისა (ბრესლავში), ბალზერ და ამხ.—სა (ბრიუსელსა და ლიპმანში) დაჰრონზენტალ და ამხ.—საგან (ამსტერდამშია), აიღო ვარშავ-ვენის რკინის გზის საზოგადოების 4% ობლიგაციების მე-10 და 11 სერიები, ოქროთი სულ 58 მილიონ მარკისა, რომლებზედაც მალე ხელის-მოწერას გამართავს.

21 ივლისი

პეტერბურგი. 27 ივლისს გატჩინის სასახლეში მოხდება ქორწინება დიდის მთავრინის ოლგა თეოდორეს ასულისა და მის უმაღლესობის პრინც პეტრე ალექსანდრეს ძის ოლდენბურგის ჰერცოგისა.

მოსკოვი. შინაგან საქმეთა მინისტრი ნიჟეგოროდის რკინის გზის ორეხოვის სადგურიდგან წავიდა სავვა მოროზოვისა და ამხ. სამანუფაქტურო ქარხანაში. მინისტრმა გასინჯა სართავი, საქსოვი, სადებავი განყოფილებანი და ამხანაგობის ნაწარმოებთა გამოფენა. მინისტრი დაესწრო სახალხო სეირნობას, შემდეგ დაათვალიერა ახალი სცენა, გაუქმებული თეატრი, მუშათა სადგომები და საავადმყოფოები. შემდეგ მინისტრმა დაათვალიერა ვიკულა-მოროზოვის ამხანაგობის ქარხნები და დაწესებულებანი.

მოსკოვი. შინაგან საქმეთა მინისტრი ტვერში წავიდა.

ბერლინი. გენ.-ლეიტ. ლესსელი ტიანძინიდგან იუწყება, რომ რუსებმა პეკინის საიმპერატორო სასახლის ის ნაწილი, რომელიც მათ ეჭირათ, ჩინეთის სასახლის მინისტრს ჩააბარესო.

კონსტანტინეპოლი. სულთანმა აუდიენციაზედ ზინოვიევი მიიღო.

პეკინი. სადიპლომატო კორპუსი დასთანხმდა რომ გაწვრთნილ ჯარის 3000 კაცისაგან შემდგარი რაზმი პეკინიდგან ოცის მილის მანძილზე დაბანაკდეს. ამ ადგილზედ ჯარი 22—24 ივლისს მივა.

პეტერბურგის ბირჟა, 20 ივლისი.

	მყიდველი	გამყიდველი	გაყიდული
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
5%-ნი მომგებიან-გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . .	230	— „	— „
3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	— „	— „	88
6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა .	— „	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	— „	— „	— „
5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა	— „	— „	— „
4½% იმავე ბანკისა	— „	— „	— „
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . .	— „	— „	— „
4½% იმავე საზოგადოებისა. . .	— „	— „	— „
5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	— „	— „	427¼
5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი	332	— „	— „

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა, (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის ტფილისიდგან ბათუმში:

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.), ბათუმში ჩავა დილის 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ტფილისიდგან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.), ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 45 წ. (10 ს. 43 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10 ს. 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.), ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამის 1 ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

საგარაკო მატარებლები:

საგარაკო მატარებელი № 18 მცხეთიდგან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6 ს. 20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1 წ. (6 ს. 59 წ.).

საგარაკო მატარებელი № 20 მიხაილოვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49 წ. (7 ს. 47 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.).

განცხადებანი

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

ჰიგიენური

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს, ყვითელ ლაქებს და სახეზე ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი ლონდონი 1896 წ.

ფასი თითო ნაჭერის 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ. იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. (48—6.—48)

პატივცემულ ქართველ საზოგადოებას

გვაქვს პატივი ვაუწყოთ, რომ ამ დღეებში ჩვენმა სავაჭრო ფირმამ საზღვარ-გარეთიდგან მიიღო მრავალი ხელისა და ფეხის საკერავი მაშინა სხვა-და-სხვა ფაბრიკებისაგან. ჩვენი სავაჭრო ფირმა პირიანად ჰყიდის სხვა-და-სხვა სისტემის მაშინებსა, ამასთან მყიდველს ეთმობა მაშინა მომეტებულ პროცენტით, ვიდრე სხვაგან სადმე ტფილისში, რაშიაც ყველა მაშინის შეძენის მსურველს ვთხოვთ მობრძანდეს და დარწმუნდეს სინამდვილეში.

ფირმის წარმომადგენელნი გიორგი ანდრიას ძე ლაზარაშვილი და დიმიტრი დავითის ძე ჯამუხაძე.

ადრესი: სიონის ქუჩა, მაისურაძის და ხოჯაფარეხოვის ქარვასლა, № მაღაზიისა 52 და 53.

ტელეგრამის ადრესი: ტფილისი, ლაზარევი და ჯამუხაძე, ტელეფონი 756. (163)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го Іюля 1901 г. სტამბა ქ. ილ. ხელაძისა დარის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი, ილია ჭავჭავაძე